

უფლის ამაღლები ს დღისადმი მიძღვნილი სიტყვა  
დღესასწაული ს დღე 28. 05. 2020 წ.  
(31 მაისი 2020 წ.)

შეიძლება ვინმეს ეგონოს, რომ იესო ქრისტეს ზეცად  
ამაღლები ს შემდეგ, მისი მოწაფეები ღრმა  
მწუხარებაში იყვნენ მასთან განშორების გამო, ამ  
დრომდე უფალი მათთან იყო. ის საუბრობდა მათთან და  
მათესმოდათ მისი ხმა. ახლა კი იგი წავიდა და ისინი  
ვერასოდეს ვეღარ ნახავენ მას! ასეა წარმოდგენილი  
უფლის ამაღლება ადამიანისთვის. ხოლო თუ ამ მოვლენას  
ჩვენ შევხედავთ სულიერი თვალსაზრისით, განათებულს  
სული წმინდისაგან, მას ჩვენ სრულიად სხვაგვარად  
დავინახავთ. ამაღლება - ეს არ არის წასვლა,  
განშორება და ბოლოს, პირიქით, ეს - უფლის აღდგომის  
გაგრძელებაა. ამ ხედვით, ამაღლება ხდება მოვლენა,  
რომელიც ჭეშმარიტი სიხარულითაა აღსავსე. ეს არის  
ჩვენი უფალი იესო ქრისტეს მიერ შესრულებული მისია,  
რის გამოც იგი განკაცდა და ქვეყნადმოვევლინა.

ხარების დღესასწაულზე ჩვენ ვადიდებთ ღმერთის  
მხოლოდშობილ ძეს „ხორცი შეისხნა სულისაგან  
წმინდისა და მარიამისაგან ქალწულსა, და განკაცნა;"  
ღმერთკაცის სახით, ასე გამოვლინდა წმინდა  
განუყოფელი სახარების მეორე ჰიპოტაზისი. ამგვარად,  
იესო ქრისტე, დაბადებული წმინდა ქალწული  
მარიამისაგან, წარმოადგენს სრულყოფილ ღმერთს და  
სრულყოფილ ადამიანს. რათა გაენთავისუფლებინა  
კაცობრიობა ცოდვისაგან, უფალი იესო ქრისტე - როგორც  
ღმერთკაცი - გაეკრა ჯვარზე, დაიფლა და აღდგა, და  
ბოლოს, თავისი არსობის ერთიანობით ზეცად ამაღლდა.  
უფალი - ძე ზის მამა - ღმერთის მარჯვნივ თავისი  
დიდებათ, ერთიანი ღმერთი და ადამიანი. ჩვენ  
წარმოვთქვამთ ამ სიტყვებს ყოველთვის, როცა ვამბობთ  
მრწამსს: „მრწამს...".

ჭეშმარიტ ღმერთგარდასახვას აქვს დიდი  
მნიშვნელობა ყველა მათთვის, ვისაც სჯერა ქრისტესი,  
როგორც ჩვენი უფალი ღმერთისა. ჩვენ,  
მართა დიდებლები, განსაკუთრებულნი ვართ  
ქრისტეში ნათლობით, და გაერთიანებულნი ვართ  
მასთან წმინდა ზიარებით. რადგან ჩვენ, მოწამუნეები,  
ერთიანობაში ვართ ქრისტეს ხორცთან, რომლითაც ის  
ზეცაში ამაღლდა, ერთხელ ჩვენც ავმაღლდებით, რათა იქ  
მასთან ერთად ვიყოთ.

ვათვითცნობიერებთ თუ არა ჩვენ იმ დიდ პატივს, რომელსაც უფალი გვიბოძებს ჩვენ? ადამი არ დაემორჩილა ღმერთს და სამოთხე დაკარგა. ღმერთის ძემოვევლინა დედამიწას, როგორც ახალი ადამი; მიიღო რა ადამიანური ბუნება, ის განკაცდა, რათა შემდეგ ჩვენთან წაგვიყვანოს ზეციურ სამოთხეში. თავად უფალმა უთხრა თავის მოწაფეებს: „მე წარვიდე და განგიმზადოთქუენ ადგილი“ (ინ.14:2), მხედველობაში ჰქონდა თავისი ზეცადამაღლება. შემდეგ აბზაცში ის ამბობს: „კულად მოვიდე და წარგიყვანე თქუენ თავისა ჩემისა თანა, რათა, სადაცა მე ვიყო, მუნცა თქუენ იყვნეთ.“ ამის წყალობით ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ, რომ ქრისტემ გაგვიღო ცათა სასუფეველი, რათა შეგვძლებოდა იქ მასთან ერთად ყოფნა. უფალმა თქვა: „მე ვადიდებ მადიდებელთა ჩემთა“ (1 მეფ.2:30). ჩვენთვის საკმარისია მივყვეთ პავლე მოციქულს სწავლებას: „ადიდეთ უკუე ღმერთი ხორციტა მაგით თქუენითა, რომელი იგი არს ღმრთისა“ (1 კორ.6:20). ჩვენ ვყწვეტავთ გვინდა თუ არა ვიყოთ უფლისა ამაღლების თანამონაწილენი. ჩვენ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება და გავთავისუფლოდეთ ვნებების მონობისაგან, ამ ქვეყნიური კეთილდღეობისაგან და ცოდვების უღლისაგან. სწორედ მაშინ ვიქნებით ღირსნი ავმაღლდეთ ღვთისწყალობის ტახტრევანამდე.

მოდით ღრმად ჩავუფიქრდეთ ამას. ქრისტე ზეციდან ჩამოვიდა არა იმისთვის, რათა მოეცა ჩვენთვის ზოგიერთი მითითებები, ხოლო შემდეგ წასულიყო! ის მოვიდა, რათა ჩვენთან ერთობაში ყოფილიყო და მოვემზადებინეთ იმისთვის, რომ ჩვენ შეგვძლებოდა საბოლოოდ ვყოფილიყავით მასთან ზეცაში. თავისი ამაღლებით მან მოგვმადლა ყველა ჩვენგანს ამაღლება. აი რატომ ვდღესასწაულობთ განსაკუთრებულ სიხარულით დღევანდე ღმერთს!

წმინდა მოციქული - მოსწავლეები პირველი მოწმეები იყვნენ ამაღლებისა. როგორც გვამცნობს სახარების ბოლოს წმ. ლუკა: იესომ, „აღიპყრნა ხელნი თვისნი და აკურთხა იგინი. და იყო კურთხევასა მას. იესუსსა მათა მიმართ განეშორა მათგან და აღვიდოდა ზეცად. და იგინი თაყუანის - სცემდეს მას და მოიქცეს იერუსალემდ სიხარულითა დიდითა. და იყოფვიდეს ტაძარსა მას შინა მარადის, აქამდეს და აკურთხევდეს ღმერთსა“ (ლუ.24:50-53).

ჩვენი სულიერი სიხარული. უსაზღვროა, იმიტომ რომ ქრისტეს წყალობით ვაცობრიობა ამაღლდა ცოდვის უფსკრული საგან; ეხლა ჩვენთვისაც გახდა

შესაძლებელი აღდგომა და ამაღლება. არც შეურაცხყოფამ, არც ბოროტმა ენებმა, არც ჩვენმა საკუთარმა სისუსტეებმა და შეცდომებმა - არაფერს არ შეუძლია წაართვას ჩვენს გულებს სულიერი ნეტარება. ადამიანებს, რომლებსაც ჯერათკეთი ლმობი ყალბი უფლისა, გულუბნისი შიშის ადგილი არა აქვთ. სასოწარკვეთა არ შეიძლება იქ გამოჩნდეს, სადაც რწმენა და იმედი ცოცხლობს.

ჩემო ძვირფასო ძმებო და დებო, მოდით ყოვეთვის ვუგალობოთ და ვადიდოთ ღმერთი, როგორც ამას აკეთებდნენ წმინდა მოციქულნი უფლის ამაღლების შემდეგ; მოდით ვმადლობდეთ მას ყველაფრისთვის, რაც მან გაგვიკეთა და აგრძელებს ამის კეთებას ჩვენთვის.

მოდით ვმადლობდეთ უფალს იმ დიდი მადლისთვის, რასაც ყოველ დღე გვიბოძებს ჩვენ; და უპირველესად, ვმადლობდეთ მას იმისთვის, რომ ის განკაცდა და თავი მსხვერპლად გაიღო ადამიანთა სიყვარულის გამო, მიანიჭა თითოეულ ჩვენგანს ხსნა და ცათა სასუფეველში ამაღლება.